ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

როგორ მოვამზადოთ ბავშვები კითხვის შესასწავლად

ნათია ბრეგაძე
იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2საჯარო სკოლა

ანოტაცია

წიგნიერება თანამედროვე მსოფლიოში საკვანძო საკითხია. კითხვისა და წერის უნარები მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდის მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და მის წარმატებას ნებისმიერ სფეროში.

სტატიაში განხილულია სტრატეგიები, რომლითაც მასწავლებელს შეუძლია მოტივაციის შექმნა. განხილულია კითხვის უნარის განვითარების ეტაპები:

კითხვის წინა პერიოდი. მოყვანილია საბავშვო აქტივობების მაგალითები: ზღაპრების მოყოლა,ხატვა, ნახატის ან ფოტოს დასათაურება და ანალიზი, ნახატების ან და სიმღერების გამოყენება სიტყვების სიის შესადგენად;

კითხვის დაწყება. საბავშვო აქტივობების მაგალითებია- სიტყვებზე ნადირობა, მოდელირება, მოსმენა და კითხვა,

კითხვის დახვეწა. აქტივობები - გონებრივი იერიში,

კითხვის უნარის განვითარება და ინტერესის გაღვივება. აქტივობები: სიტყვების არქეოლოგია, ზღაპრის თხრობა, წიგნების განხილვა.

კითხვის უნარის გაძლიერება და დახვეწა. აქტივობები: სამაგიდო თამაშის შექმნა.

წიგნი ადამიანის საუკეთესო მეგობარია, წიგნიერება კი საუკეთესო თანამგზავრი. იმისთვის რომ ვიმეგობროთ ამ ძვირფას საუნჯესთან და თაობებიც დავამეგობროთ მათთან ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ შევაყვაროთ იგი, რადგან წიგნიერი თაობა წარმატებული საქართველოს საწინდარია, წარმატებული საქართველო კი ყველა ჩვენგანის საზრუნავია.

საკვანძო სიტყვები: *კითხვის უნარის განვითარება, აქტივობა*

წიგნიერება თანამედროვე მსოფლიოში საკვანძო საკითხია. კითხვისა და წერის უნარები მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდის მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და მის წარმატებას ნებისმიერ სფეროში. ამიტომ წიგნიერების განვითარებას სათანადო ყურადღება უნდა მივაქციოთ.

როდის იწყება წიგნიერების უნარების განვითარება? რა აუცილებელი საფუძველი სჭირდება წიგნიერების უნარ-ჩვევათა სრულყოფილად განვითარებას?

სანამ ბავშვი კითხვასა და წერას ისწავლის, თუ მას შეუძლია უკვე წიგნის სწორად დაჭერა, ფურცლის გადაშლა, ტექსტის მიმართულების სისწორის დადგენა, ან ზოგიერთი ასოსა და სიტყვის ამოცნობა, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ასეთ დროს უკვე ბავშვი ავლენს წიგნიერ ქცევებს და მასში აქტიურ ფორმირებას იწყებს მკითხველი.

ადრეულ ასაკში ბავშვის წიგნიერების განვითარების ძირითადი ასპექტი არის წიგნიერი გარემო. როდესაც უფროსები ბავშვებს უკითხავენ წიგნებს, ან როცა ბავშვები ხედავენ, რომ მშობლები თავად კითხულობენ, მათ ბუნებრივი ინტერესი უჩნდებათ დაწერილის მიმართ. ადრეული ასაკიდან ბავშვები იწყებენ წერას. მართალია, თავდაპირველად

ISSN 1512-1801

მათი ნაწერი გაურკვეველ იეროგლიფებს უფრო ჰგავს, მაგრამ თანდათანობით გამოსახულებების მოხაზულობა ასოებს ემსგავსება.

ბავშვის პირველადი შეხება სიტყვებთან და სიმბოლოებთან სკოლაში წასვლამდე ხდება.სახლი და გარემომცველი სამყაროა ის გარემო, სადაც ბავშვი პირველად ეხება წერა- კითხვას.ბავშვის ზრდის კვალდაკვალ, როცა იგი კითხვის უნარის განვითარების სხვადასხვა ეტაპს გადის, შესაძლოა გახდეს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც განსაზღვრავენ, რამდენად წარმატებულად ვითარდება მისი კითხვის უნარი. ბავშვის მზაობას, შეისწავლოს კითხვა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები განსაზღვრავენ როგორიცაა:მშობლები და ოჯახური გარემო,ბავშვის დამოკიდებულებები და ფასეულობები და რა თქმა უნდა, მასწავლებელი.

ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა კითხვის შესწავლაზე ეკისრება მასწავლებელს, რომელმაც მრავალმხრივი ტექნიკა და სტრატეგიები უნდა გამოიყენონ,რათა მოსწავლეები წარმატებულად დაეუფლონ კითხვის უნარს.

მშობლები და ოჯახური გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის სწავლისათვის მომზადებაში. მშობლები არიან პირველი მასწავლებლები,რომლებიც ყველაზე მეტ დროს ატარებენ შვილებთან. ისინი ბავშვს უქმნიან ინტელექტუალურ სტიმულსა და ემოციურ ატმოსფეროს, რაც აუცილებელია კითხვის წარმატებით შესწავლისათვის. ოჯახური გარემო გაცილებით მეტ კავშირშია ბავშვის აკადემიურ მიღწევებთან სკოლაში, განსაკუთრებით კითხვის შესწავლაში, ვიდრე ზოგად თუ ვერბალურ უნარებთან.

მშობლები, რომლებიც ოჯახში ყურადღებას აქცევენ წერა -კითხვას, უფრო მეტად ეხმარებიან შვილებს საშინაო დავალების მომზადების დროს პრობლემების დაძლევაში, კითხულობენ მათთან ერთად. როცა მშობლების აინტერესებთ თავიანთი შვილების აკადემიურ მოსწრება, აკვირდებიან ბავშვების მეცადინეობას სახლში, ბავშვები უფრო მოტივირებული და მონდომებულნი არიან. ისინი კი, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ კითხვა და ზოგადად განათლებას, არ არევიან შვილების აკადემიურ განვითარებაში მათი დონე დაბალია.

გამოიკითხა 219 პირველ და მეორეკლასელი მოსწავლე ამათგან მხოლოდ 50 მოსწავლეს უკითხავს მშობელი წიგნიდან ზღაპარსა თუ სხვა სახის ნაწარმოებს. 60 მოსწავლეს უყვება ზეპირად, ხოლო 109 მოსწავლემ თქვა რომ დედა დაკავებულია მუშაობს და არ სცალია.

ამ ასაკში კი ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება მზრუნველობა სიყვარული და აღზრდა სჭირდებათ.აღზრდა გულისხმობს იმ უნარების განვითარებას, რომლის წინამძღვრები, შესაძლებლობები ბავშვს დედის ორგანიზმიდან დაჰყვება, როგორც ბიოლოგიურ ინდივიდს. ეს უნარებია: მეტყველების და აზროვნების მოსმენის, კითხვის ზნეობისა და ეთიკის ნორმების დაცვის. ახლადდაბადებულ ბავშვს აქვს ეს შესაძლებლობები,მაგრამ საჭიროა მათი განვითარება,უნარი პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებაა,რომელიც წარმოადგენსგარკვეული სახის მოქმედების წარმატებით განხორციელების სუბიექტურ პირობას.უნარის თანდაყოლილი წინამძღვარია ინდივიდის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებები რომელთა საფუძველზე სხვადასხვა სახის მოქმედებათა

ISSN 1512-1801

განხორციელების პროცესში ყალიბდებათვით უნარი. ნიჭი შედგება უნარებისაგან.(პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები).

მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობაა მშობლებს მისცენ ინფორმაცია,თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მათ, თავიანთი შვილების განათლებაში და ითანამშრომლოს მშობლებთან, რათა ერთობლივად დაეხმარონ ბავშვს უკეთ სწავლაში.

შესაძლოა მშობელს სჭირდებოდეს დამატებითი ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, როგორ შეიძლება შედეგიანად ჩაერთონ თავიანთი შვილების განათლებაში. ჩვენი ვალია უზრუნველყოთ მშობლებისა და ოჯახის წევრთა წერა-კითხვის პროცესში ჩართვა არა მარტო იმის გამო, რომ დაეხმარონ ბავშვებს კითხვის უკეთ შესწავლაში, არამედ თავად მშობლების ცოდნის გაღრმავების მიზნითაც. ამისთვის მათ მივაწოდოთ ინფორმაცია იმ კონკრეტული აქტივობების შესახებ, რაც შეიძლება სახლში განახორციელონ ბავშვებთან ერთად.

მასწავლებელს შეუძლია შექმნას სახლის პირობებისათვის სპეციალური აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ოჯახის მასში ჩართვას. მაგალითად ბავშვს შეიძლება დაევალოს ჩაატაროს ოჯახური გამოკითხვა საყვარელ საკვებზე, ცხოველებზე მცენარეებზე ან შექმნან გენეალოგიური ხე. ასეთი დავალებები შეიძლება ნახატებითაც გაკეთდეს. კარგ შედეგს იძლევა, როცა საკლასო ოთახში გადაცემული იდეები სახლში მტკიცდება.

ასეთი დავალების შესრულებისას ბავშვი არა მარტო სწავლობს კითხვის ელემენტარულ ჩვევებს აგრეთვე იძენენ სხვდასხვა მნიშვნელოვან უნარს, სწავლობენ, როგორ შეაგროვონ ინფორმაცია, დაახარისხონ და წარადგინონ მონაცემები და თან ამ ყველაფერს ის აკეთებს ხალისით.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ბავშვის დამოკიდებულებები და ფასეულობები.

კითხვის შესასწავლად ბავშვის მზაობას შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავს: ბავშვის მიერ საკუთარი თავის აღქმა, განათლებისადმი დამოკიდებულება, ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მზაობა კითხვის შესწავლის სურვილი.

საკუთარი თავის აღქმა განსაზღვრავს ბავშვის დამოკიდებულებას წარმატებისადმიდა იმას,თუ რამდენად კარგად გამოავლენსთავს კითხვისას.მაშინ როდესაც ბავშვებს სჯერათ,რომ შეუძლიათ დავალების შესრულებას წარმატებით გაართვან თავი, უფრო მეტი ალბათობაა იმისა,რომ ისინი ჩაერთვებიან დავალების შესრულებაში და სირთულეების მიუხედავად განაგრძობენ მუშაობას,სანამ საბოლოოდ არ მიაღწევენ მიზანს.

ზემოთ ჩამოთვლილი მრავალმხრივი ფაქტორები გამოცდილება, ფასეულობები, განვითარების დონე და მოტივაცია განაპირობებს მოსწავლეების საკმაოდ მრავალფეროვანი ჯგუფის არსებობას. ბავშვებს განსხვავებული უნარების , საჭიროებებით, განვითარების დონითა და ინტერესებით. შესაბამისად მცდარია, მოსაზრება იმის შესახებ რომ ყველა ბავშვი მზადაა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალის ასათვისებლად.

უდავოა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფატორი არის მასწავლებელი. მასწავლებლის მთავარი პასუხისმგებლობაა, გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი საჭიროებები და ხელი შეუწყონისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ბავშვებში აღძრავს სწავლის სურვილსა და უქმნის მათ შესაბამის მოტივაციას.

ISSN 1512-1801

უპირველეს ყოვლისა, კითხვის შესასწავლი პროგრამა უნდა ასახავდეს ბავშვის იდენტობას. ასეთი კავშირის დამყარება შესაძლებელია იმ ვიზუალური მასალის გამოყენებით, რომელიც კავშირშია ბავშვის ფიზიკურ ან კულტურულ იდენტობასთან.
სასწავლო პროგრამისშექმნისას გასათვალისწინებელია, რომ მასში შემავალი დავალებებიუნდა უკავშირდებოდესდა ავრცობდეს მოსწავლეების უკვე არსებულ ცოდნას, მოიცავდეს იმ ცხოვრებისეულ საკითხებს და ინტერესის სფეროებს, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვთან. თუკი მოსწავლეები აღიქვამენ წერა-კითხვას, როგორც მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრისა და ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებას, მაშინ ისინი უფრო მეტი სურვილითა და ენთუზიაზმით ჩაერთვებიან წერა-კითხვის შესწავლაში და მეტადაც დააფასებენ ამ უნარებს.
მასწავლებლის როლი განისაზღვრება იმით, რომ უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა სტრატეგია, რათა გავზარდოთ მოსწავლეთა მოტივაცია. თუ ბავშვები მოტივირებული არიან აითვისონ კითხვა, ისინი ეცდებიან გულმოდგინედ ისწავლონ და ამ გზაზე იოლად გადალახავენ წინააღმდეგობასაც. შესაბამისად კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული ასეთი მამოტივირებელი გარემოს შექმნაში საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა.
* საკლასო გარემო მოსწავლეებს პოზიტიური თვითშეფასების საშუალებას უნდა აძლევდეს.
*მასწავლებელი მოსწავლეებს უნდა უნერგავდეს რწმენას და ახალისებდეს მათ. მასწავლებელმა უნდა დაანახოს მოსწავლეებს, რომ მათ უყვართ ისინი დაზრუნავენ მათზე.მოსწავლეები უნდა გრძნობდნენ, რომ მასწავლებელი აფასებს, პატივს სცემს და მხარს უჭერს მათ.
*მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, კითხვის სწავლისას დაისახონ მიზნები და შექმნან მათი შესაძლებლობების შესაბამისი მოლოდინი; იგი აგრეთვე ეხმარება მათ ამ მიზნების მიღწევაში.თუკი მოსწავლეებს აქვთ კარგად ჩამოყალიბებული მიზნები მაშინ ისინი უკეთ მიადევნებენ თვალს იმ პროგრესს,რასაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიაღწიეს.ასეთი მიდგომა მათ საშუალებას აძლევს დარწმუნდნენ, რომ შეუძლიათ წარმატების მიღწევა, რაც საბოლოო ჯამში უმტკიცებს მოსწავლეებს რწმენას საკუთარ შესაძლებლობებში.პოზიტიური თვითშეფასება და პროგრესი მიღწევებში ზრდის მოსწავლეების რწმენას,რომ შეუძლიათ კარგად ისწავლონ,ასევე უნარჩუნებს და კიდევ უფრო უმყარებს მოტივაციას.
მოტივაციის შექმნა მასწავლებელს შემდეგი სტრატეგიებით შეუძლია:
*თავად ვიყოთ ჩართულები სწავლებაში და დავანახოთ ბავშვებს,რომ დაინტერესებულნი ვართ მათი მუშაობით.
*არსის გადასაცემად გამოვიყენოთ ინოვაციური შემოქმედებითი და ნათელი გზები.მოვიყვანოთ მაგალითები და გადაცემული მასალის შინაარსი დავუკავშიროთ სხვადასხვა კონტექსტს.
*მოსწავლეებს შევუქმნათ სასწავლო პროცესისადმი მიკუთნებულობის განცდა.ეს იმას ნიშნავს რომ მოსწავლეები მონაწილეობენ საკლასო გარემოსთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში,მაგალითად:არჩევენ გამოსაყენებელ ტექსტებს,არჩევენ კითხვის შესასწავლ აქტივობებს და ა.შ.
მიმოვიხილოთ კითხვის უნარის განვითარების ეტაპები

ISSN 1512-1801

1)კითხვის უნარის განვითარების პირველ ეტაპს კითხვის წინა პერიოდი წარმოადგენს.ამ ეტაპის უმნიშვნელოვანესი მიზანია,მასწავლებელი დარწმუნდეს, რომ მოსწავლე სოციალურად, გონებრივად, ემოციურად და ფიზიკურად მზად არის კითხვის შესასწავლად.სწავლება ფოკუსირებულია ზეპირი გამოხატვის ფორმებზე,იწყება ლექსიკის გამდიდრება,წინადადებებისპირობითი ნიშნების იარლიყების და სხვათა გამოყენებით.ასევე ხდება მარტივი იდეების აზრების წინადადებებად ჩამოყალიბება.ბავშვები ადგენენ სიტყვებს,რომლებიც იწყება ამა თუ იმ ასო-ბგერაზე და ა.შ.

საბავშვო აქტივობების მაგალითები

- ზღაპრების მოყოლა: ბავშვებს ზღაპრები უნდა მოვუყვეთ ექსპრესიულად,რათა შეინარჩუნონ მათ ყურადღება.კითხვის კვალდაკვალ დავსვათ შეკითხვები,რათა დავრწმუნდეთ ესმით თუ არა მათ შინაარსი.
- ხატვა:მოსწავლეებმა შეძლონ სურვილისამებრ დახატონ და შემდეგ კლასს აუხსნან რა არის გამოსახული ნახატზე.
- ნახატის ან ფოტოს დასათაურება და ანალიზი.ეს შეიძლება გაკეთდეს კოლექტიურად მთელს კლასშიან მცირე ჯგუფებში.
- ნახატების ან და სიმღერების გამოყენება სიტყვების სიის შესადგენად: ლექსები ან მოკლე სიმღერები შეიძლება გამოყენებულ იქნას, იმისთვის რომ მოსწავლეებმა ამოიცნონ რითმა. მოკლე სიმღერების გამოყენება შეიძლება ანბანის გასაცნობადაც.

2)კითხვის დაწყება

განვითარების ამ ეტაპზე მოსწავლემ უნდა შეიძინოს ანბანის ასოების ამოცნობის უნარი, მაგრამ ეს არ ნიშნავს ასოების დაზეპირებას. ეს მიიღწევა ანბანის შესასწავლი სხვადასხვა ტიპის აქტივობებით.თანამედროვე მიდგომის მიხედვით,ბავშვი ანბანს სწავლობს კონტექსტში, სიტყვის მნიშვნელობასთან ერთად.მაგალითად ბარათს სადაც ხატია ია და წერია ასო-ბგერა ,,ი'' ეხმარება ბავშვს გაიაზროს ბგერა ,,ი''-ს მნიშვნელობა.

ბავშვი კითხვისთვის მზადაა მას შემდეგ,რაც საფუძვლიანად დაოსტატდება ანბანის ცოდნაში

საბავშვო აქტივობების მაგალითები.

- სიტყვებზე ნადირობა: ბავშვები იყოფიან პატარა ჯგუფებად.რამდენიმე ბარათზე წერია სიტყვები,რომლებიც იწყება და მთავრდებაერთნაირად.ბარათები დამალულია ოთახში სხვადასხვა ადგილას. მასწავლებელი თითო ჯგუფს ურიგებს ბარათებს.ბავშვები ცდილობენ ოთახში იპოვონ ის ბარათები, რომლებზეც მათი სიტყვების მსგავს ბგერებზე დაწყებული და დამთავრებული სიტყვები სწერია.მაგ.მასწავლებელი მისცემს სიტყვებს ვაშლი,მდელო, ცა.მათ უნდა იპოვონ შესაბამისი ბარათები,რომლებსაც აწერია ველი, მიდამოდა ცისარტყელა.
- მოდელირება:თითოეულ მოსწავლეს შეიძლებამ მივცეთ ერთი კონკრეტული ასო.ნებისმიერი რომელიც მათ უნდათ,მაგ, „ც''. მათ უნდა ასწავლოს მთელ კლასს ეს ასო-ბგერა მათ მიერ დახატული ნახატებით ან რაიმე მინიშნებით.ეს შეიძლება მცირე ჯგუფებშიც გავაკეთოთ.
- მოსმენა და კითხვა:ჩავწეროთ და მოვამზადოთ ვიდეო გაკვეთილები, სადაც მოსწავლე ჩვენთან ერთად წაიკითხავს,ჩანაწერი უნდა მოიცავდეს ისეთ

ISSN 1512-1801

ინსტრუქციებსაც,რომელიც თხოვს მოსწავლეს რაიმე ისეთი ქმედების იმიტაციას,რომელიც აღწერილია წიგნში.

3)კითხვის დახვეწა:განვითარების ამ ეტაპს წარმოადგენს კითხვის დახვეწა.ამ ეტაპზე ბავშვები უკვე მზად არიან,ამოიკითხონ სიტყვები,გამოთქვა „ნ" ისინი ხმამაღლა, გაიგონ მათი მნიშვნელობა მასწავლებლის დახმარებით.წაიკითხონ მარტივი მოთხრობები და უფრო იოლად აითვისონ ახალი მასალა.

აქტივობები

- გონებრივი იერიში.ვკითხოთ მოსწავლეებს,თუ წაუკითხავთ ან მოუსმენიათ ვინმეს მიერ მოყოლილი ზღაპარი /მოთხრობა/ამბავი?
- იციან თუ არა ფრაზები,რომლითაც ჩვეულებრივად იწყება ზღაპრები?
- ვინ არიან მოქმედი გმირები ?სად ხდება მოქმედება და ა.შ.
- ჩავრთოთ ბავშვები ზღაპრების, მოთხრობების შედგენაში.
- ვთხოვოთ დახატონ ამბის შესაბამისი სურათი და ისაუბრონ მის შესახებ და ა.შ

4)კითხვის უნარის განვითარება და ინტერესის გაღვივება.მას შემდეგ, რაც კითხვის ფუნდამენტური ელემენტები მოსწავლეების მიერ კარგად იქნება ათვისებული,მათ უკვე შეუძლიათ კითხვისაგან სიამოვნების მიღება, სხვადასხვა ბგერების კომბინაციით ახალი სიტყვების და წინადადებების შედგენა, რთულ სიტყვებში მარტივი სიტყვების ფუძეების ამოცნობა.

აქტივობები:

- სიტყვების არქეოლოგია, მოსწავლეები იქცევიან არქეოლოგებად, რომელთა მიზანია იპოვონ სიტყვათა ფესვები სხვა სიტყვებში. ასეთი სიტყვები შეიძლება იყოს: ერბოკვერცხი, ცათამბრჯენი, დედაენა, შვეულმფრენი, თავგზააბნეული, თავქუდმოგლეჯილი და სხვა.
- ზღაპრის თხრობა: მოსწავლეებს ყოველდღიურად შეიძლება გამოყოფილი ჰქონდეთ დრო, როცა კლასში ხმამაღლა კითხულობენ ტექსტებს ,აწყობენ მკითხველთა თეატრს
- წიგნების განხილვა:მოსწავლეები კითხულობენ რაიმე წიგნს, თანაკლასელებს გადასცემენ მოკლე შინაარსს და თავიანთ მოსაზრებას ნაწარმოების შესახებ.

5) კითხვის უნარის გაძლიერება და დახვეწა.სწავლობენ 1.როგორ გაარჩიონ ტექსტის მთავარი იდეა და2.როგორ გამოიყენონ და გააანალიზონ და გამოიყენონ ტექსტიდან მიღებული ინფორმაცია.

ამ ეტაპის საბოლოო მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის წაკითხვა, მისი შინაარსის გაგებასა წაკითხულის გააზრება.

აქტივობები:

- სამაგიდო თამაშის შექმნა: წაიკითხონ ტექსტი ხალისით და სიამოვნებით.
- წაიკითხონ ტექსტი გამართულად
- გაიგონ შინაარსი
- საკუთარი სიტყვებით წერილობით გადმოსცენ ტექსტის შინაარსი.

წიგნი ადამიანის საუკეთესო მეგობარია, წიგნიერება კი საუკეთესო თანამგზავრი. იმისთვის რომ ვიმეგობროთ ამ ძვირფას საუნჯესთან და თაობებიც დავამეგობროთ მათთან ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ შევაყვაროთ იგი, რადგან წიგნიერი თაობა

ISSN 1512-1801

წარმატებული საქართველოს საწინდარია, წარმატებული საქართველო კი ყველა ჩვენგანის საზრუნავია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქეთევან ჭკუასელი. ივანე ჭკუასელი. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. გამომცემლობა „ინტელექტი". თბილისი 2012წ
2. როგორ ვასწავლოთ კითხვა. ქრესტომათია დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის.2010წ.
3. პ.პავავა, თ.ჭანტურია. წიგნიერება. -2012
4. http://mshoblebi.ge/ganathleba/skolamdeli-aghzrda/1803-8-rcheva-rogor-unda-tsaukithkhoth-bavshvs-tsigni-rom-daainteresoth.html